საპატრიარქოს უწყებანი

№ 34
904

22-28 ნოემბერი 2018 წ. გამოიცემა 1999 წლის 8 იანვრიდან

ფასი 70 თეთრი

საქართველოს
საპატრიარქოს
პრესცენტრის
ყოველკვირეული
გამოცემა

- ✠ ქადაგება
- ✠ სახარების განმარტება
- ✠ დოქიარის მონასტრის ხატი „მსწრაფლშემსმენელი“
- ✠ ამბები ეპარქიებიდან
- ✠ ქორწინებისთვის
- ✠ „მისი სახე ნანგრევებიდან გვიყურებდა“— იესო ქრისტეს გამოსახულება ისრაელის უდაბნოს უძველეს ტაძარში
- ✠ დეკანოზი ნიკოლოზ გაგუნაშვილი 1868 — 1945

რუსთავის წმინდა გიორგის ხატი

თანამედროვეობის გამოჩენილი მართლმადიდებელი თეოლოგი კალისტოს უეარი ახალი საქართველოს უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი გახდა

2018 წლის 7-11 ოქტომბერს საქართველოში ვიზიტით იმყოფებოდა მაღალყოვლადუსამღვდელოესი კალისტოსი (უეარი) - დიოკლიის მიტროპოლიტი (კონსტანტინოპოლის საპატრიარქო). მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესობის ვიზიტი აკადემიურ ხასიათს ატარებდა - მეუფე საქართველოში ახალი საქართველოს უნივერსიტეტის (ქ. ფოთი) მოწვევით ჩამობრძანდა და ამავე უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება მიენიჭა. ვიზიტის ფარგლებში ღვთისმეტყველებით დაინტერესებულ ქართველ მსმენელს საშუალება მიეცა თანამედროვეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მართლმადიდებელი ღვთისმეტყველისთვის მოესმინა.

შთამბეჭდავია მიტროპოლიტ კალისტოს უეარის ბიოგრაფია. ყოფილი ანგლიკანი, ჯერ კიდევ ახალგაზრდობისას მოინათლა მართლმადიდებლად. მალევე მონაზვნური ცხოვრების სურვილიც გაუჩნდა და კუნძულ პატმოსზე, იოანე ღვთისმეტყველის სახელობის მონასტერში ბერად აღიკვეცა. მის ბიოგრაფიაში ფიგურირებენ მართლმადიდებლობის ისეთი ავტორიტეტები, როგორებიცაა წმინდა იოანე მაქსიმოვიჩი და წმინდა ამფილოქე პატმოსელი. აღსანიშნავია, ასევე, ის ინტელექტუალური გარემო, რომელმაც მეუფე კალისტოსზე დიდი გავლენა მოახდინა. მიტროპოლიტი კალისტოსი მრავალი წლის მანძილზე მოღვაწეობდა ოქსფორდის უნივერსიტეტში და იყო მართლმადიდებლური თეოლოგიის პროფესორი. გარდა ამისა, იგი მრა-

ვალი ავტორიტეტული სამეცნიერო საზოგადოების წევრი და ხელმძღვანელი იყო. მის კალამს ეკუთვნის რამდენიმე ათეული მონოგრაფია და 200-ზე მეტი სამეცნიერო სტატია. საგანგებო აღნიშვნის ღირსია, ასევე, ის ფაქტიც, რომ თანამედროვეობის რამდენიმე მნიშვნელოვანი მართლმადიდებელი თეოლოგი სწორედ მეუფე კალისტოსის მოწაფეა.

საქართველოში ვიზიტის ფარგლებში მიტროპოლიტ კალისტოსს მასპინძლობდა ახალი საქართველოს უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი, ფოთისა და ხობის მიტროპოლიტი, მაღალყოვლადუსამღვდელოესი გრიგოლი (ბერბიჭაშვილი). მეუფე გრიგოლთან და ფოთისა და ხობის ეპარქიის სამღვდელოებასთან ერთად მიტროპოლიტმა კალისტოსმა სამადლობელი ლოცვა აღავლინა ფოთის მაცხოვრის აღდგომის საკათედრო ტაძარში, რის შემდგომაც მღვდელმთავრებმა ფოთისა და ხობის ეპარქიის ეკლესია-მონასტრები მოილოცეს.

როგორც აღვნიშნეთ, მიტროპოლიტ კალისტოსის ვიზიტს აკადემიური ხასიათი ჰქონდა. ორი დღის მანძილზე ის ახალი საქართველოს უნივერსიტეტში ქართველი მსმენელისთვის ლექციასემინარებს ატარებდა, რომლებსაც მრავალრიცხოვანი აუდიტორია ესწრებოდა. მსმენელებს შორის იყვნენ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის წევრები, ახალი საქართველოს უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, ასევე, ქართველი თეოლოგები და სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლისა თუ კვლევითი ინსტიტუციის წარმომადგენლები.

2018 წლის 9 ოქტომბერს ახალი საქართველოს უნივერსიტეტის დიდ საკონფერენციო დარბაზში გაიმართა საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების საზეიმო ცერემონია, რომელიც გახსნა ახალი საქართველოს უნივერსიტეტის კავკასიური ფილოსოფიისა და თეოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი არქივის დირექტორმა, პროფესორმა თენგიზ ირემაძემ. შესავალ სიტყვაში მან ამ დღის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ მეუფე კალისტოსისადმი საპატიო დოქტორის წოდების მინიჭებით ახალი საქართველოს უნივერსიტეტი მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო მეცნიერებების ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და გავლენიანი წარმომადგენელის დიდ ღვაწლს აღიარებს და აფასებს. დიოკლიის მიტროპოლიტის სულიერ, საგანმანათლებლო და სამეცნიერო დამსახურებებსა და მიღწევებზე მოხსენება წაიკითხა ახალი საქართ-

თეოლოგი კალისტოს უეარი

ველოს უნივერსიტეტის რექტორმა, ფილოსოფიის დოქტორმა, პროფესორმა, ფოთისა და ხობის მიტროპოლიტმა, მაღალყოვლადუსამღვდელოესმა გრიგოლმა (ბერბიჭაშვილი). მან ვრცლად მიმოიხილა მეუფე კალისტოსის ცხოვრებისა და შემოქმედების ეტაპები, საგანგებო ყურადღება გაამახვილა მის სულიერ მასწავლებლებზე და თეოლოგიურ მემკვიდრეობაზე. მიტროპოლიტმა გრიგოლმა დიდი დრო დაუთმო მეუფე კალისტოსის საღვთისმეტყველო კონცეფციის ანალიზს და იმ წვლილს, რომელიც მან მართლმადიდებლური თეოლოგიის და, ზოგადად, მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო მეცნიერებების განვითარებაში შეიტანა.

ახალი საქართველოს უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების საზეიმო ცერემონიაზე მეუფე კალისტოსმა წარმოადგინა მოხსენება, რომლის ფარგლებშიც განიხილა ბიბლიური შესაქმის აქტი. მოხსენებაში ნათლად იყო წარმოჩენილი მართლმადიდებლური სწავლება სამყაროს შექმნის შესახებ. წმინდა წერილის ღრმა ანალიზი, ქრისტიანული სწავლების კომპეტენტური განხილვა თანამედროვე მეცნიერებების კონტექსტში, შესაქმესთან დაკავშირებული მრავალი მნიშვნელოვანი დეტალის მრავალმხრივი განმარტებები იმის საფუძველი აღმოჩნდა, რომ მოხსენებამ დამსწრე აუდიტორიის დიდი მოწონება დაიმსახურა.

ფრიად აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ახალი საქართველოს უნივერსიტეტის პირველი საპატიო დოქტორი მსოფლიოში ისეთი აღიარებული

და დიდი რეპუტაციის მქონე მეცნიერი-თეოლოგი გახდა, როგორიც მიტროპოლიტი კალისტოსია. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ხსენებული ფაქტი დიდი მნიშვნელობისაა არა მარტო ქართული თეოლოგიისა და ქართული საღვთისმეტყველო-მართლმადიდებლური მეცნიერებების განვითარების თვალსაზრისით, არამედ, ზოგადად, ქართული აკადემიური სივრცის განვითარების კუთხითაც. აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტმა მეუფე კალისტოსი ფოთის საპატიო მოქალაქის წოდებითაც დააჯილდოვა. ეს საპატიო ჯილდო დიოკლიის მიტროპოლიტს ქალაქ ფოთის მერმა, ბატონმა გოჩა კურდღელიამ გადასცა.

2018 წლის 10 ოქტომბერს კი ახალი საქართველოს უნივერსიტეტის დიდ საკონფერენციო დარბაზში გაიმართა არანაკლებ საინტერესო დისკუსია, რომელზეც მრავალი საინტერესო თეოლოგიური საკითხი იყო განხილული. დისკუსიაში მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირები, თეოლოგები, ასევე სტუდენტები საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტიდან. განხილული იქნა ქრისტიანობის უმთავრესი კატეგორიები და მათთან დაკავშირებული სწავლებები, მართლმადიდებლურ კონტექსტში განიხილეს ეკლესიის მოწყობის, წმინდა წერილის, წმინდა მამათა მემკვიდრეობის საკითხები, ასევე, წარმოჩნდა თანამედროვე ეკლესიის გამოწვევებიც, მათ შორის, ბიოეთიკისა და საეკლესიო პოლიტიკის პრობლემები.

დასასრულს, ფოთისა და ხობის მიტროპოლიტმა გრიგოლმა შეაჯამა მიტროპოლიტ კალისტოსის ვიზიტი. მან აღნიშნა რა მეუფე კალისტოსის დიდი დამსახურება მართლმადიდებელი ეკლესიის წინაშე, ისაუბრა ვიზიტის მნიშვნელობაზე, ხაზი გაუსვა იმას, თუ რამდენად ღირებულია მსგავსი ღონისძიებები არა მარტო ახალი საქართველოს უნივერსიტეტისა და ფოთისა და ხობის ეპარქიისთვის, არამედ, ზოგადად, ქართული საუნივერსიტეტო სივრცისა და სრულიად საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისთვის. მან საგანგებო მადლობა გადაუხადა სტუმარს. დასასრულს, მეუფე გრიგოლმა აღნიშნა, რომ თავად ავტორის ნებართვის საფუძველზე ახალი საქართველოს უნივერსიტეტი მიტროპოლიტ კალისტოსის ერთ-ერთ წიგნს ქართულად თარგმნის და გამოაქვეყნებს.

შეჯამების სახით, ვიტყვით, რომ მსოფლიოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მართლმადიდებელი თეოლოგის - დიოკლიის მიტროპოლიტ კალისტოსის - სტუმრობა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის, ქართული სამეცნიერო სივრცის ბოლო დროის უმნიშვნელოვანეს მოვლენას წარმოადგენს.

ნიკოლოზ კოპალეიშვილი
ქრისტიანული ფილოსოფიის მაგისტრი
ახალი საქართველოს უნივერსიტეტის
კავკასიური ფილოსოფიისა და თეოლოგიის
სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის
დირექტორის ასისტენტი